საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოპლებიანი მწყერთევზა

კოპლებიანი მწყერთევზა

კოპლებიანი მწყერთევზა (Symphodus roissali Risso, 1810 – Crenilabrus quinquemaculatus Risso, 1827), თევზი. მიეკუთვნება ტუჩოსანთა ოჯახს (Labroidae Cuvier, 1816), ტუჩოსნების გვარს (Labrus Linnaeus, 1758). მაქსიმალური სიგრძე – 21 სმ, მასა – 120 გ. შავ ზღვაში ხშირად გვხვდება უფრო პატარა ზომის მწყერთევზები (16 სმ-მდე). ბინადრობს კლდე-ქვიან, მცენარეებით მდიდარ სანაპირო წყლებში. იკვებება უმთავრესად მოლუსკებით. გავრცელებულია შავ ზღვაში – კავკასიის, ყირიმის, თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის სანაპიროებთან; ატლანტის ოკეანეში, ხმელთაშუა, მარმარილოს ზღვებში, ბოსფორში.

სამეურნეო მნიშვნელობა არა აქვს. (ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის) IUCN მიხედვით საჭიროებს ზრუნვას (LC).

ლიტ.: ნ ი ნ უ ა ნ., ჯ ა ფ ო შ ვ ი ლ ი ბ., ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; С в е т о в и д о в А., Рыбы Черного моря, М., 1964.

ნ. ნინუა